საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000020745056022

№ 01-106-R **17 / მარტი / 2022 წ.**

ბრძანება

მისაღებ გამოცდებზე აპლიკანტთა რეგისტრაციის, შემოქმედებითი ტურების ჩატარების, ჩარიცხვისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 22-ე მუხლის, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტისა და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 28 მაისის № 64/2021 დადგენილების „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე- 2 პუნქტის და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2022-2023 სასწავლო წელს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ქართულ ენაში მომზადებისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების (აპლიკანტთა რეგისტრაციის, შემოქმედებითი ტურების ჩატარების, ჩარიცხვის) ორგანიზაციული მხარის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საკოორდინაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მაია ტაბლიაშვილი, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ბ) თინათინ ბარკალაია, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
გ) ელენე ელიოზიშვილი, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი;
დ) დავით ხავთასი, სასწავლო დეპარტამენტის უფროსი;
ე) ნანა კალანდაძე, სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ვ) რუსუდან თაბაგარი, სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი;
ზ) თეა ბუაძე, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი;
თ) მაია ვირსალაძე, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
ი) მადონა ბუხაიძე, სასწავლო დეპარტამენტის მდივანი;
კ) თინათინ ჯოგლიძე, სასწავლო დეპარტამენტის მდივანი;
ლ) მაია ირემაშვილი, სასწავლო დეპარტამენტის მდივანი;
მ) ლალი მიღდისელი, სასწავლო დეპარტამენტის მდივანი;
ნ) ელენე ნადარაია, სასწავლო დეპარტამენტის მდივანი;

ო) თეიმურაზ ბაცანკალაშვილი, ოპერატორი;
პ) გიორგი დოროყაშვილი, ოპერატორი;
ჟ) გიორგი ოიკაშვილი, ოპერატორი;
რ) ნოდარ მდივანი, ოპერატორი;
ს) პაატა ბეჟუაშვილი, ამწყობი;

2. მისაღები გამოცდების საკოორდინაციო ჯგუფის წევრებს დაევალოთ:
ა) მ.ტაბლიაშვილი - მისაღები გამოცდების საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელობა;
ბ) ნ.კალანდაძე - მისაღებ გამოცდებზე ჩართულ პირთა, მათ შორის კომისის წევრთა ინფორმირება, კონსულტაციების, რეპეტიციების და გამოცდების განრიგის მონიტორინგი, ტექნიკური მომსახურება წერით გამოცდებზე;
გ) თ.ბარკალაია - აპლიკანტთა რეგისტრირება, ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის ტექნიკური მომზადება, უწყისების შედგენა;
დ) დ.ხავთასი - აპლიკანტთა რეგისტრირება, ტექნიკური მომსახურება წერით გამოცდებზე, შეფასებების გაგზავნა;
ე) რ.თაბაგარი - აპლიკანტთა რეგისტრირება, შეფასებების გაგზავნა;
ვ) ე.ელიოზიშვილი - აპლიკანტთა რეგისტრირება, ტექნიკური მომსახურება წერით გამოცდებზე, შეფასებების გაგზავნა;
ზ) თ.ბუაძე - აპლიკანტთა სპეციალობის პროგრამების მისაღებ მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრის უზრუნველყოფა, საგამოცდო სივრცეებში კომისიის წევრთა განაწილება, უწყისების შევსების მონიტორინგი;
თ) მ.ვირსალაძე - აპლიკანტთა სპეციალობის გამოცდისთვის წარმოდგენილი მასალის მისაღებ მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრის უზრუნველყოფა, საგამოცდო სივრცეებში კომისიის წევრთა განაწილება, უწყისების შევსების მონიტორინგი;
ი) მ.ბუხაიძე, თ.ჯოგლიძე, მ.ირემაშვილი, ლ.მიღდისელი, ე.ნადარაია - რეპეტიციების და გამოცდების ინდივიდუალური განრიგის შედგენა, საგამოცდო სივრცეებში აპლიკანტთა მიღება-განაწილება;
კ) თ.ბაცანკალაშვილი, გ.დოროყაშვილი, გ.ოიკაშვილი, ნ.მდივანი - გამოცდების ვიდეოგადაღება, ონლაინ-გამოცდების ტექნიკური უზრუნველყოფა;
ლ) პ.ბეჟუაშვილი - საგამოცდო სივრცეებში (დარბაზი, აუდიტორია) ინსტრუმენტების აწყობა.

3. საკოორდინაციო ჯგუფმა უზრუნველყოს ამ ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე ყველა სხვა საჭირო მოქმედებების განხორციელება.
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს საგამოცდო ცენტრის წევრებს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ნანა შარიქაძე